

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ვებტექნოლოგიები

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N4

პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი ბერიკაშვილი

რუსთავი

2022 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: - ვებტექნოლოგიები / Web Technology
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა 06114-ს
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში / Secondary Vocational Qualification in Web Technology
 აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება“, კოდი 0612, აღმწერი - „შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც”
4. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, ვებტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ვებგვერდისთვის ვებინტერფეისის როგორც დიზაინი, ასევე - დეველოპინგი (front_ის მხარე).
5. დაშვების წინაპირობა
 - სრული ზოგადი განათლება
 - საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
6. კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო და შესაძლებლობები
 ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ვებდეველოპერად, ვებგვერდის მხარდამჭერ სპეციალისტად ან ვებდიზაინერად.
 - ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62, 62.0, 62.01.
 - დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3514

7. სტრუქტურა და მოდულები

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში ითვალისწინებს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 18 კრედიტის მოცულობით და 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 46 კრედიტის მოცულობით.

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 64 კრედიტი, სწავლის ხანგრძლივობა სავარაუდოდ 13 თვე.

ვებტექნოლოგიებში მეოთხე დონის კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა, თუ ის ჩარიცხულია საბაზო განათლებით უნდა დააგროვოს ჯამურად 114 კრედიტი, რომელთაგან 8 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 60 კრედიტი ინტეგრირებული ზოგადი მოდულები და 46 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები. სწავლების ხანგრძლივობაა 3 წელი.

- მოდულების, „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/წ “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 94 კრედიტი და სწავლის ხანგრძლივობაა 16 თვე.
- ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩარიცხული არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 144 კრედიტს. მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია „ქართული ენა A2“ მოდულის და 15 კრედიტი „ქართული ენა“ B1 სწავლებისათვის. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სწავლების ხანგრძლივობაა 3,5 სასწავლო წელი

სტრუქტურა და მოდულები არაინტეგრირებული სწავლებისთვის:

| ზოგადი მოდულები | | | |
|-----------------|--|-------------------------|-----------|
| № | მოდულის დასახელება | | კრედიტი |
| 1. | 0610003 ინფორმაციული წიგნიერება 1 | | 3 |
| 2. | 0030104 ინტერპერსონალური კომუნიკაცია * | | 3 |
| 3. | 0020103 რაოდენობრივი წიგნიერება * | | 2 |
| 4. | 0110005 სამოქალაქო განათლება * | | 3 |
| 5. | 0410004, მეწარმეობა 2 * | | 2 |
| 6. | 0230102 უცხოური ენა /ინგლისური ენა/ | | 5 |
| სულ | | | 18 |
| № | მოდულის დასახელება | წინაპირობები: | კრედიტი |
| 1. | 0611401 პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები | ყველა პროფესიული მოდული | 4 |
| 2. | 0611402 ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | | 8 |
| 3. | 0611403 გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება | | 7 |
| 4. | 0611404 დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში | | 5 |

| | | | |
|--|---|---|-----------|
| 5. | 0611405 ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript | ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | 6 |
| 6. | 0611406 ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება | | 5 |
| 7. | 0611407 ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით | ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | 3 |
| 8. | 0611408 ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით | ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript | 3 |
| 9. | 0611409 ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) | | 5 |
| სულ | | | 46 |
| კრედიტების რ-ბა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | | | 64 |
| ქართული ენა A2 | | | 15 |
| ქართული ენა B1 | | | 15 |
| კრედიტების რ-ბა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | | | 94 |

სტრუქტურა და მოდულები საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში:

| ზოგადი მოდულები | | | |
|--------------------------------------|-------------------------------------|---------------|-----------|
| № | მოდულის დასახელება | | კრედიტი |
| 7. | 0610003 ინფორმაციული წიგნიერება 1 | | 3 |
| 8. | 0230102 უცხოური ენა /ინგლისური ენა/ | | 5 |
| სულ: | | | 8 |
| ინტეგრირებული ზოგადი მოდულები | | | |
| 10. | 0540000 მათმატიკური წიგნიერება | | 14 |
| 11. | 0230000 კომუნიკაცია ქართულ ენაში | | 14 |
| 12. | 0580000 მეცნიერება და ტექნოლოგიები | | 18 |
| 13. | 0380000 მოქალაქეობა | | 10 |
| 14. | 0480000 მეწარმოება | | 4 |
| სულ | | | 60 |
| პროფესიული მოდულები | | | |
| № | მოდულის დასახელება | წინაპირობები: | კრედიტი |

| | | | |
|------------|---|---|------------|
| 10. | 0611401 პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები | ყველა პროფესიული მოდული | 4 |
| 11. | 0611402 ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | | 8 |
| 12. | 0611403 გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება | | 7 |
| 13. | 0611404 დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში | | 5 |
| 14. | 0611405 ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript | ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | 6 |
| 15. | 0611406 ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება | | 5 |
| 16. | 0611407 ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით | ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | 3 |
| 17. | 0611408 ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით | ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript | 3 |
| 18. | 0611409 ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) | | 5 |
| სულ | | | 46 |
| | კრედიტების რ-ბა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის ინტეგრირებულ პროგრამაზე | | 114 |
| | ქართული ენა A2 | | 15 |
| | ქართული ენა B1 | | 15 |
| | კრედიტების რ-ბა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ინტეგრირებულ პროგრამაზე | | 144 |

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ვებგვერდის მაკეტი და მოარგოს სხვადასხვა მოწყობილობას
2. გააფორმოს ვებგვერდის ფონი, შრიფტი და ელემენტები სტილების საშუალებით
3. გადაწყვიტოს მარტივი ამოცანა JavaScript ენის ძირითადი ელემენტებისა და კონსტრუქციების გამოყენებით
4. მოახდინოს JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან
5. დააინსტალიროს გვერდის მართვის სისტემები (CMS) და ააწყოს ვებგვერდის დიზაინი
6. შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები
7. მოახდინოს გვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით
8. შეიმუშაოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები Angular-ის საშუალებით
9. მოამზადოს ვებინტერფეისის გრაფიკული დიზაინი
10. დაამუშაოს ვექტორული გამოსახულება
11. შექმნას ვებგვერდის მულტიმედიური კონტენტი
12. შექმნას ფოტომასალა ვებგვერდისთვის.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“ შემუშავებულია საშუალო კვალიფიკაციის მისაღებად, ასევე შემუშავებულია ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს 3 წელს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს 4 კრდიტის ოდენობით, რაც არ აღემატება პროგრამის მოდულების კრედიტთა მოცულობის 20 %-ს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;

- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა სრულად უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები სწავლების ფორმატის შესაბამისად (ინტეგრირებული, არაინტეგრირებული)

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები¹

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - „ვებტექნოლოგია“ 06114-ს
2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“
2. 2021 წლის 07 ივნისის №532031 „სამოქალაქო განათლების ზოგადი მოდულის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება 2021 წლის 29 ოქტომბრის N1159696 ბრძანება.

14. დანართები:

- დანართი №1 - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
- დანართი №2 - სასწავლო გარემოს აღჭურვილობა;
- დანართი №3 - განმახორციელებელი პერსონალი;
- დანართი №4 - 0030104 ინტერპერსონალური კომუნიკაცია *
- დანართი №5 - 0020103 რაოდენობრივი წიგნიერება *
- დანართი №6 - 0610003, ინფორმაციული წიგნიერება 1;
- დანართი №7 - 0230102, უცხოური ენა - ინგლისური ენა ;
- დანართი №8 - 0410004, მეწარმეობა 2;
- დანართი №9 - 0110005 სამოქალაქო განათლება
- დანართი №10 - 0611401 პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები;
- დანართი №11 - 0611402 ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება;
- დანართი №12 - 0611403 გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება;
- დანართი №13 - 0611404 დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში;
- დანართი №14 - 0611405 ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript;
- დანართი №15- 0611406 ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება;

- დანართი №16- 0611407 ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით;
- დანართი №17- 0611408 ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით
- დანართი №18 -0611409 ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)
- დანართი №19 - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ინტეგრირებულისთვის;
- დანართი №20 - აღჭურვილობის ჩამონათვალი ინტეგრირებულისთვის;
- დანართი №21 - 0230000 -კომუნიკაცია ქართულ ენაზე (ინტეგრირებულისთვის);
- დანართი №22 - 0580000 - მეცნიერება და ტექნოლოგიები(ინტეგრირებულისთვის);
- დანართი №23 - 0380000 - მოქალაქეობა(ინტეგრირებულისთვის);
- დანართი №24 - 0480000 -მეწარმეობა(ინტეგრირებულისთვის);
- დანართი №25 - 0540000-მათემატიკური წიგნიერება (ინტეგრირებულისთვის);
- დანართი №26 - 0110001 - „ქართული ენა A 2“;
- დანართი №27 - 0110002 - „ქართული ენა B1“
- დანართი №28 - სასწავლო გეგმა, ქართული ენა;